ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. ძ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.05.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 052/13

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ შ. ო. მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ შ. ო. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერლობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 20 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ძ. და მოითხოვა ადვოკატ შ. ო. -სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან თავისი ინტერესების დასაცავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატთა ასოციაციის წევრს შ. ო.-სთან. საქმე ეხებოდა სამკვიდრო დავას, კერძოდ, საჩივრის ავტორმა 2008 წლის 10 იანვარს ნოტარიუსისაგან მიიღო სამკვიდრო მოწმობა ი. ძ.-ის საცხოვრებელი ფართის ½ ნაწილზე. 2008 წლის 09 ოქტომბრს კი ამავე ფართზე დარეგისტრირდა მისი ნათესავი ქ. ზ.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა მას საქმის მოგების 90% გარანტია მისცა, რადგან ხელთ ჰქონდათ ის გაყალბებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც ქ. ზ.-მა შეძლო ბინის თავის სახელზე დარეგისტრირება.

1.4 საჩივრის ავტორის მ. ძ.ს განმარტებით, ადვოკატი შ. ო. უნდა დახმარებოდა მას დოკუმენტების გაყალბების თაობაზე პროკურატურაში საჩივრის წარდგენაში და ფაქტზე გამოძიების დაწყებაში. საჩივრის ავტორის განცხადებით ადვოკატიგან ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ ადვოკატ შ. ო.-ს ჰყავდა ნაცნობი სამართალ დამცავ ორგანოებში, რომელიც ო.-ს დაეხმარებოდა

გამოძიების დაწყების საკითხში, თუმცა, საჩივრის შეტანის შემდგომ მომჩივანმა მ. ძ.-მა მიიღო პროკურატორისგან უარი გამოძიების დაწყებაზე დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატს ჰონორარის სახით გადაუხადა ჯერ 200 (ორასი) ლარი, შემდეგ გადასცა 500 (ხუთასი) ლარი, რომლითაც უნდა მომხდარიყო ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება და შემდეგ კვლავ გადასცა 300 (სამასი) ლარი. სულ ადვოკატისათვის გადაცემულმა თანხამ შეადგინა 1000 (ათასი) ლარი, რაც მიეთითა იურიდიული მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაში.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ის ადვოკატს შეუთანხმდა, რომ საქმის მსვლელობისათვის საჭირო თანხებს თავად გადაიხდიდა.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, სანამ საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შეიტანდა სარჩელს, ადვოკატმა წარადგინდა განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე, რათა მომხდარიყო სადავო ქონებაზე ყადაღის დადება. საჩივრის ავტორის განცხადებით ის წინააღმდეგი იყო ამ განცხადების შეტანისა, რადგან თვლიდა, რომ აზრი არ ჰქონდა ასეთი შინაარსის განცხადების შეტანა. ადვოკატმა მას არ მოუსმინა და, როგორც საჩივრის ავტორი ვარაუდობდა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ო.-ს აღნიშნული მოთხოვნა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ არ გაასაჩივრა, ისე შეიტანა სააპელაციო საჩივარი სასამართლოში.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი სააპელაციო სასამართლო სხდომაზე, შუამდგომლობას აყენებდა ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე, თუმცა, მოსამართლემ არ დაუკმაყოფილა შუამდგომლობა, იმ საფუძვლით, რომ მას უნდა გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის უარი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ადვოკატმა დაუმალა ის ფაქტი, რომ ადვოკატ შ. ო. შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო უფლებამოსილება და ეს ფაქტი მ. ძ. შეიტყო მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში პროცესის დაწყებამდე მოსამართლისგან, რაც მ. ძ.-სათვის გამაოგნებელი იყო. ის გამოუალ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი დარწმუნდა, რომ ადვოკატმა სარჩელზე უარი ათქმევინა მხოლოდ იმ მიზეზით, რათა მიეჩქმალა მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი. (ადვოკატ შ. ო. შეწყვეტილი ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება ძ.-თან ხელშეკრულების დადების დროს, რაც დადგენილია საქმეში წარმოდგენილ მასალებით), ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინება ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ, კერძო საჩივრით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. შ. ო. ამავდროულად სარჩელით მიმართა ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ დავა ეწარმოებინა ადმინისტრაციული კუთხით და სარჩელი შეიტანა საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში. საჩივრის ავტორი, ადმინისტრაციული დავის დაწყების წინააღმდეგი იყო, თუმცა, ადვოკატმა მისი მოსაზრება არ გაითვალისწინა და ადმინისტრაციული დავაც წააგო ადვოკატმა.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით სხდომაზე ნათელი გახდა, რომ ადვოკატ შ. ო.

უფლებამოსილება კვლავ შეწყვეტილი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მან 100 (ასი) ლარი გადასცა უფლებამოსილების აღსადგენად.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა შ. ო. ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 27 აგვისტოს. ადვოკატის განმარტებით, 2010 წელს გაიცნო მ. ძ., რომელმაც სთხოვა დახმარება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან შეადგინა რამდენიმე საჩივარი და წარადგინა მთავარ პროკურატურაში.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის საქმის წარმოება მოითხოვდა დიდ დროს, ამიტომ გაფორმდა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულება. ის ექვსი თვის განმავლობაში ცდილობდა მოეპოვებინა ხელჩასაჭიდი ინფორმაცია საჯარო რეესტრიდან.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორისათვის საქმის მოგების გარანტია არ მიუცია. ის უბრალოდ აფასებდა საქმის წარმატებულად დამთავრების შესაძლებლობებს, ასე იქცევა ყველა ადვოკატი, რომელიც იღებს საქმეს.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მას საჩივრის ავტორმა დაუმალა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ საქმეზე ადმინისტრაციული წესით დავა წაგებული ჰქონდათ. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო იურიდიული მომსახურების გაწევაზე უარს იტყოდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, იგი საქმეს აწარმოებდა 2 წელი და ამ ხნის განმავლობაში არაერთხელ მიმართა პროკურატურასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. მან გააკეთა ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ამ საქმესთან დაკავშირებით.

2.7 ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე მისვლამდე მან არ იცოდა, რომ უფლებამოსილება ჰქონდა შეჩერებული, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გადადგამდა ამ ნაბიჯს და მოსამართლესთან იშუამდგომლა პროცესის გადადების თაობაზე.

2.8 ადვოკატის განმარტებით, იგი საქმეს აწარმოებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო წესით საქმის განხილვისას საჩივრის ავტორმა უარი თქვა სარჩელზე ვინაიდან ვერ მოიპოვეს დამატებითი მტკიცებულებები.

3. **დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 20013 წლის 28 ნოემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ შ. ო.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა შ. ო. სააპელაციო და საკასაციო საჩივრის შეტანამდე საჩივრის ავტორს არ აცნობა მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე, დარღვაული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

3.3 იმ შემთხვეაში, თუ დადასტურდა, რომ ადვოკატმა შ. ო. საჩივრის ავტორს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობა, დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის მ. ძ.-ს და მოპასუხე ადვოკატის შ. ო. პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ინტერესების დასაცავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ შ. ო.-სთან. მათი შეხვედრა შედგა 2010 წელს. საქმე ეხებოდა სამკვიდრო დავას, კერძოდ, საჩივრის ავტორმა 2008 წლის 10 იანვარს ნოტარიუსისგან მიიღო სამკვიდრო მოწმობა ი. ძ.-ის საცხოვრებელი ფართის ½ ნაწილზე. 2008 წლის 09 ოქტომბერს კი ამავე ფართზე დარეგისტრირდა მისი ნათესავი ქ. ზ.

4.1.2 საჩივრის ავტორის მ. ძ.-ის განმართებით (იხ. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წარდგენილი საჩივარი დათარიღებული 05.20.2013 წელს) სამკვიდრო დავის საწარმოებად შ. ო. სულ გადაუხადა 1000(ათასი) ლარი და გაფორმდა მათ შრის შესაბამისი ხელშეკრულება.

4.1.3 მომჩივნის პოზიციას ადასტურებს მოპასუხე ადვოკატი შ. ო. ეთიკის კომისიისადმი წარდგენილ ახსნა-განმარტებაში (იხ. შ. ო. ახსნა - განმარტება დათარიღებული 27.02.2013 წლით), აღნიშნული მან დაადასტურა ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის სხდომაზე, სადაც ადვოკატმა განმარტა, რომ ნამდვილად მიიღო საჩივრის ავტორის მ. ძ.-სგან 1000(ათასი) ლარი და გაფორმდა მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულება.

4.1.4 ადვოკატ შ. ო. შესაბამისი უფლებამოსილება შეუწყდა 2011 წლის 01 ნოემბრიდან (ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება). ადვოკატ შ. ო. საადვოკატო უფლებამოსილება აღუდგა 2012 წლის იანვარს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატაში მ. ძ.ს საქმის განხილვა დაიწყო 2011 წლის 30 ნოემბერს, ამ დროს ადვოკატ შ. ო. საადვოკატო უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა.

4.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

4.2.1 მომჩივანი მ. ძ. ახსნა-განმარტებაში განმარტავს, რომ ადვოკატმა შ. ო. მას მისცა გარანტია საქმის მოგების 90% წინასწარ, შ. ო. მას დაუმალა, რომ შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო უფლებამოსილება. მომჩივანმა ეს გარემოება გაიგო მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში საქმის დაწყებისას, უშუალოდ მოსამართლისგან. ადვოკატმა შ. ო. სწორედ ამ მიზეზით უარი ათქმევინა მომჩივანს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის გაგრძელებაზე და არა იმ მიზეზით, თითქოს თვითონ მომჩივანმა თქვა უარი საქმის გაგრძელებაზე, რითაც გადაფარა მისი უფლებამოსილების შეჩერების ფაქტი, ხოლო მომჩივანისათვის ამან მძიმე შედეგი გამოიწვია. მომჩივანი მ. ძ. ასევე განმარტავს, რომ შ. ო. იცოდა, რომ მ. ბ.-ს ადრე უკვე ნაჩივლები ჰქონდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რაზეც მომჩივანი აფრთხილებდა ადვოკატს და მიუხედავად ამისა, ადვოკატმა მაინც შეიტანა იგივე მოტივით საჩივარი იმავე კოლეგიაში. ადმინისტრაციულ კოლეგიაში საქმის განხილვისას დამატებით შ. ო.-სთან ერთად საქმეში ჩაერთო ადვოკატი ლ. თ., რომელსაც დამატებით 700 (შვიდასი) ლარი გადაუხადა მ. ძ. მიუხედავად ამდენი თანხის გადახდის და კლიენტის მიერ ადვოკატების

მხრიდან დაყენებული ყველა პირობის შესრულებისა, მ. ძ. ადმინისტრაციულ კოლეგიაში წააგო საქმე.

4.2.2 ადვოკატი შ. ო. ახსნა-განმარტებაში უარყოფს მომჩივანისათვის რაიმე გარანტიის მიცემის ფაქტს, ასევე აცხადებს, რომ პირველი ინსტანციის გადაწყეტილება თვითონ მომჩივანმა არ გაასაჩივრა და კლიენტმა ადვოკატს დაუმალა, რომ ადმინისტრაციულ კოლეგიაში ერთხელ უკვე წაგებული ჰქონდა საქმე იმ საფუძვლით რითაც შ. ო. სარჩელი შეიტანა იმავე კოლეგიაში. ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ მისთვის უცნობი იყო მისი საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი. ეს გარემოება სცოდნოდა ადვოკატს, საერთოდ არ დაიწყებდა ურთიერთობას მ. ძ.-სთან. ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ არაერთ ინსტანციაში აწარმოებდა მიმოწერებს, სამართლებრივად ცდილობდა საქმის გამართვას, მაგრამ მაინც წააგო პროცესი ადმინისტრაციულ კოლეგიაში.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ 2014 წლის 23 ივნისს სხდომაზე მხარეთა თანდასწრებით, მათი უშუალო მონაწილეობით, მხარეთა შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის სრული დაცვით, დეტალურად განიხილა დისციპლინური საქმე N052/13 და მიაჩნია, რომ ადვოკატ შ. ო. მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ შ. ო.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

6.2 ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხომს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედება.

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №074/10, დაადგინა, რომ ,,ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. ადვოკატის აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ.“

6.4 მოცემულ შემთხვევაში, იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულებითა და მინდობილობით, ადვოკატ შ. ო. უნდა დაეცვა მ. ძ.-ს ინტერესები სასამართლოს სამივე ინსტანციაში და სახელმწიფო დაწესებულებებში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას წარმომადგენელთა უფლებამოსილების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შ. ო. შეწყვეტილი ჰქონდა ადვოკატის უფლებამოსილება, რაც სავარაუდოდ, საჩივრის ავტორისათვის ცნობილი არ იყო. შ. ო. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით 2011 წლის 01 ნოემბრიდან შეუწყდა ადვოკატის

უფლებამოსილება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21^3-ე მუხლის მე-10 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის საფუძველზე. ადვოკატის პროფესიული ვალდებულება მოითხოვს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურების გაწევას. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს მის სტატუსთან დაკავშირებული ყველა ვალდებულების შესრულება, მათ შორის საწევრო გადასახადის გადახდა, რათა ხელი არ შეეშალოს კლიენტის წარმომადგენლობაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის მიხედვით ქმედუნარიანი პირები წარმომადგენლებად შეიძლება გამოდიოდნენ მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. შ. ო.-ს უნდა სცოდნოდა, რომ ადვოკატის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მას არ ექნებოდა უფლება დაეცვა მ. ძ.-ს ინტერესები სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამარლოს სხდომა ჩატარდა 2011 წლის 30 ნოემბერს, შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა გონივრული ვადა და ობიექტური შესაძლებლობა, რომ კლიენტისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. კლიენტის დროული ინფორმირებულობა აუცილებელია იმისათვის, რომ მან მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად. ინფორმაციის მიუწოდებლობით შ. ო. სააპელაციო სასამართლოში საჩივრის ავტორი დაუცველი დატოვა, რადგან მას არ ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა ესარგებლა სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 ბუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლები, მე-40 მუხლის მე-პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ შ. ო. /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. ადვოკატ შ. ო.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. N32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/